სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

ეთიკის კომისიის თავჯდომარის

გადაწყვეტილება №006/18

ქ.თბილისი, 11 მაისი, 2018 წელი

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის

საპროცესო კოლეგიის ალტერნატიული წევრის დანიშვნის თაობაზე

2018 წლის 11 მაისს მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ ქეთევან უტიაშვილმა მოხსენებითი ბარათით მომართა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, რომლის მიხედვითაც მესამე დისციპლინური კოლეგიის წევრები თეიმურაზ თოდრია და ხათუნა ჩხაიძე დატვირთული გრაფიკის გამო ვერ მიიღებენ მონაწილეობას დისციპლინური საქმის №003/18-ის საპროცესო წესით განხილვაში.

მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის თხოვნით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ აღნიშნული საქმის განხილვისას კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით №003/18 საქმის განხილვისას ალტერნატიულ წევრებად დაინიშნონ ია გაბედავა და ინგა სეხნიაშვილი.

ვიხელმძღვანელე რა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით, საპროცესო კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ეთიკის კომისიის ეთიკის კომისიის წევრები ია გაბედავა და ინგა სეხნიაშვილი დაინიშნონ მესამე დისციპლინურ კოლეგიაში ალტერნატიულ წევრებად დისციპლინური საქმის №003/18 განხილვისათვის საჭირო ვადით.
2. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღებისთანავე.
3. ეთიკის კომისიის აპარატს დაევალოს, გადაწყვეტილების თაობაზე ეთიკის კომისიის შესაბამისი წევრების ინფორმირება.

გია ტაბლიაშვილი

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე